საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამაშუკეთი

ამაშუკეთი (ყოფ. ციხისძირი), სოფელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორითის თემში (იმერეთის რეგიონი), მდ. ძირულის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 440 მ, ხარაგაულიდან 32 კმ, ძირულიდან (უახლოესი რკინიგზის სადგ.) 16 კმ. 118 მცხ. (2014).

ა-ში, კოზმანის მთაზე, არის პატარა ეკლესია. როგორც ვარაუდობენ, იგი თამარ მეფის დროსაა აშენებული. სოფლის თავში, მდ. ძირულის ნაპირას, დგას შუა საუკ. ეკლესია.